ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

ПРОЛეტარები ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 108 (19849) ქვირა, 10 მაისი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროომ მორიგ სხდომაზე განიხილა საკითხი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში მიღებული მშრომელთა წერილებისა და პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის პრაქტიკული მუშაობის დროს ამ წერილებში ჩამოყალიბებულ წინადადებათა რეალიზაციის ღონისძიებათა შესახებ.

კმაყოფილებით აღინიშნა, რომ თავიანთ წერილებში კომუნისტები და უპარტიოები ერთსულოვნად უპირველ მხარს პარტიის კურსს, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს გარდაქმნას, ეკონომიკური ურთიერთობის სრულყოფას, დემოკრატიის, საჯაროობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებას. ბევრ წერილში გამოთქმულია მოსაზრებანი გარდაქმნის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებზე, მოყვანილია ახალ პირობებში მუშაობის დადებითი მაგალითები, წამოყენებულია საქმის გაუმჯობესების კონკრეტული წინადადებანი. ამასთან ბევრია ისეთი წერილი, რომლებშიც იტყობინებიან არსებულ ნაკლოვანებებს, დისციპლინისა და წესრიგის დარღვევის, კრიტიკის ჩახშობისა და მიმდინარე გარდაქმნებისადმი წინააღმდეგობის გაწევის ფაქტებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მაღალ შეფასებას აძლევს პარტიის მიერ დასახული გარდაქმნის კურსისადმი მშრომელთა მხარდაჭერას, და მათი დიდი პოლიტიკური და შრომითი აქტიურობა მიმდინარე ცვლილებების, საბჭოთა საზოგადოების ყოველმხრივი პროგრესის შეუქცევადობის უმნიშვნელოვანეს გარანტიად მიაჩნია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებებს, სამინისტროებსა და უწყებებს, ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს დაევალათ მეტი ყურადღება დაუთმონ მშრომელთა წინადადებების პრაქტიკულ რეალიზაციას, და მეითვალთვალონ სრულად გამოიყენონ ეს წინადადებები სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმისათვის მზადების პროცესში.

პოლიტბიუროომ განიხილა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების 1986-2000 წლების კომპლექსური პროგრამის შესრულების მიმდინარეობა. აღინიშნა, რომ ზოგიერთი მიმართულებით ამ პროგრამის დავალებანი და მის რეალიზაციასთან დაკავშირებული სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება.

პარტიული და სახელმწიფო ორგანოს წინადადება მიეცათ ყველაფერი იღონონ დაშვებული ჩამორჩენის დასაძლევად. იმ სამინისტროებმა ხელმძღვანელები, რომლებმაც ჩაშალეს მოსახლეობისათვის საქონლის წარმოების დავალებანი, გააფრთხილეს, რომ პერსონალურად აგებენ პასუხს ასეთი საქონლის გამოშვების დაგეგმილი დონის უზრუნველყოფისათვის. სამინისტროების კოლეგიებისა და პარტიული კომიტეტების ყურადღება მიეპყრო იმას, რომ საჭირო გაზარდონ კადრების პასუხისმგებლობა საქონლის ხარისხისა და ასორტიმენტის ძირეული გაუმჯობესებისათვის, მათი განახლების ტემპის დაჩქარებისათვის, მსოფლიო დონის შესაბამისი პროდუქციის წარმოების გაზრდისათვის.

რეკომენდებულია დაჩქარონ ყველა დარგის საწარმოებში ფასიანი მომსახურების განვითარება, მათი ძირითადი საქმიანობის მიუხედავად, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მომსახურებას ბინების რემონტისა და მშენებლობის, ავტოტექმომსახურების, ტურიზმისა და ექსკურსიების, ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეში. წამოყენებულია აგრეთვე წინადადება გააქტიურონ მოსახლეობის ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა, შექმნან კოოპერატივები სახალხო მომხარების საქონლის წარმოების დარგში და მომსახურების სფეროში.

დასახულია ამოცანა ახალი სამეურნეო მექანიზმის საფუძველზე გარდაქმნან სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობა, გაძლიერონ მათი ზემოქმედება მრეწველობაზე იმ მიზნით, რომ გაზარდონ პროდუქციის გამოშვება, გაუმჯობესონ მისი ასორტიმენტი და ხარისხი, უფრო სრულად გამოიყენონ რეზერვები საცალო საქონელბრუნვის გეგმის უთუო შესრულებისათვის, საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის არსებითი გაუმჯობესებისათვის.

ყურადღება მიეპყრო იმას, რომ უნდა გაიზარდოს ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების როლი და პასუხისმგებლობა ამისათვის, რომ უზრუნველყონ საქონლით მოსახლეობის მომარაგება და მომსახურება, ფულადი შემოსავალ-გასავლის შეწონასწორება. აღინიშნა, რომ გეგმებში გათვალისწინებული უნდა იყოს საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს პრიორიტეტული განვითარება, რაც უზრუნველყოფს მეთორმეტე ხუთწლედის დავალებების, კომპლექსური პროგრამისა და მასთან დაკავშირებული პარტიისა და მთავრობის დადგენილებების შესრულებას.

სხდომაზე განიხილეს საკავშირო ალკა XX ყრილობის შედეგებთან დაკავშირებით ახალგაზრდობასთან მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხი. პოლიტბიუროომ მაღალი შეფასება მისცა ყრილობას, როგორც დიდ პოლიტიკურ მოვლენას არა მარტო კომკავშირისათვის, არამედ მთლიანად საბჭოთა საზოგადოებისთვისაც. ყრილობამ დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ ქალაშვილები და ვაჟიკაცები მთლიანად უპირველ მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ დასახულ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კურსს, რომ ახალგაზრდა თაობა მხურვალედ ესწრაფვის კიდევ უფრო აქტიურად ჩაებას გარდაქმნისათვის საერთო მუშაობაში, მზად არის კონკრეტული მონაწილეობა მიიღოს სოციალისტური დემოკრატიის საფუძველზე საზოგადოებრივი ცხოვრების გაჯანსაღებაში. კმაყოფილებით აღინიშნა, რომ კომკავშირმა კვლავ ცხადყო პარტიის იდეალების ღრმა ერთგულება, დაადასტურა თავისი მაღალი დანიშნულება — იყოს მისი უახლესი თანაშემწე და საიმედო რეზერვი.

პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ყურადღება მიეპყრო იმას, რომ კიდევ უფრო უნდა გაზარდონ კომკავშირის წევრი ჩვენი ცხოვრების ყველა მხარის რევოლუციური განახლებისათვის, ეკონომიკის ძირეული გარდაქმნისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში, ახალგაზრდების გამოუმუშავდეთ უნარი საზოგადოებრივ მოვლენებს აღიქვამდნენ და აფასებდნენ კლასობრივი მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან. აღინიშნა, რომ ყველა პარტიულმა, საბჭოთა, სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ ახალგაზრდობის შრომითი, იდეურ-პოლიტიკური, ზნეობრივი, სამხედრო-პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის საკითხები უნდა გაიხადოს უპირველეს და ყოველდღიურ საზრუნავად.

წინათ მიღებული გადაწყვეტილებებისადმი კონტროლის წესით განიხილეს, თუ როგორ მიმდინარეობს მუშაობა საწარმოებისა და გაერთიანებების პირდაპირი კავშირის განვითარების, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან საბჭოთა კავშირის ერთობლივი საწარმოების, საერთაშორისო გაერთიანებებისა და ორგანიზაციების შექმნის მიზნით. აღინიშნა, რომ ურთიერთმოქმედების ახალი ფორმების დანერგვას დიდი მნიშვნელობა აქვს წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერაციის ყოველმხრივი განვითარების გზით სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოებთან ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის მასშტაბის გაფართოებისა და დინამიკურობის დაჩქარებისათვის.

დასახულია ღონისძიებანი, რათა გააქტიურდეს მუშაობა ახალი ინტეგრაციული ფორმების, უწინარეს ყოვლისა დაგეგმვის, ფასწარმოქმნისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხთა ფარგლებში თანამშრომლობის მექანიზმის გამართვისათვის. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა სპეციალისტთა კადრების მომზადება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდაზე პარტიული გავლენის გაძლიერება.

პოლიტბიუროომ მოიწონა საფრანგეთის კომპარტიის გენერალურ მდივანთან ჟ. მარშესთან მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრის შედეგები. ეს შეხვედრა გახდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საფრანგეთის კომპარტიის თანამშრომლობის განვითარების დიდმნიშვნელოვანი ეტაპი, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში ორივე პარტიის ახალი მიდგომის გამოხატულება. აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიაც და საფრანგეთის კომპარტიაც დაინტერესებული არიან სსრ კავშირისა და საფრანგეთის თანამშრომლობის, როგორც ევროპული და მსოფლიო პოლიტიკის დიდმნიშვნელოვანი რგოლის განვითარებით. საბჭოთა და ფრანგი კომუნისტები, ყოველგვარი დაბრკოლების მიუხედავად, კვლავაც მხარს დაუჭერენ ორი ქვეყნის ნორმალურ, ორმხრივ ხელსაყრელ ურთიერთობას, ხელს შეუწყობენ საბჭოთა და ფრანგი ხალხების ურთიერთგაგებასა და მეგობრობას.

პოლიტბიუროომ მოიწონა მექსიკის საგარეო საქმეთა მინისტრთან ბ. სეფულვედასთან მ. ს. გორბაჩოვისა და ე. ა. შევარდნაძის მოლაპარაკებისა და საუბრების შედეგები, რომელთა მეოხებითაც განმტკიცდა დასავლეთ ნახევარსფეროს ამ უდიდეს ქვეყანასთან ურთიერთგაგება საერთაშორისო უშიშროების, განიარაღებისა და განვითარების, დაძაბულობის საშიშროების აღმოფხვრის საკითხებში, აგრეთვე გამოვლინდა ურთიერთხელსაყრელი და მრავალფეროვანი ორმხრივი თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე განიხილეს აგრეთვე სანინო და საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი სხვა საკითხი.

გამარჯვებული ხალხის ზეიმი

ათას ოთხას თვრამეტი დღე — მილიონობით ადამიანის სისხლით შეღებილი, მეომრებისა და ზურგის მშრომელების გმირობით გაცისკროვნებული, დაადგირგვინა მაისის ამ ნათელმა დღემ — გამარჯვების დღესასწაულმა.

შეიმოხვევით როდი იმეორებს თითოეული ჩვენგანი 9 მაისს დ. ტუხმანოვის მართლაც რომ სახალხოდ ქცეული სიმღერის სიტყვებს: „ეს ცრემლნარევი სიხარულია!“. გამარჯვებულთა ზეიმი განუყოფელია იმათ გამო, მარადიული სევდისაგან, ვინც ვერ მოესწრო გამარჯვებას. ამ დღეს ხელჩაკიდებული გამოდიან სადღესასწაულოდ მორთულ ქუჩებსა და მოედნებზე ომის ვეტერანები და მათი შვილიშვილები, ახალგაზრდები, რომლებმაც ეს-ეს არის ჩაიცვეს სამხედრო ფორმა, და ისინი, ვინც ამ ფორმით ძლევამოსილად ატარა ალისფერი დროშა კავკასიის კალთებიდან და სტალინგრადიდან გამაგრებულ ბერლინამდე და მანჯურიის ბორცვებამდე. გამარჯვება წარუვალი ცნებაა, მას მუდამ გულით ატარებენ საბჭოთა ადამიანები.

9 მაისს საქართველოს დედაქალაქში გაიმართა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 42 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი. თბილისელებთან, ქალაქის სტუმრებთან, ამიერკავკასიელ მეომრებთან ერთად მასში მონაწილეობდნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. ი. ალავიძე, პ. გ. გილაშვილი, ა. ნ. გლურჯიძე, გ. ნ. ენუქიძე, ო. გ. ვარელაშვილი, ა. ნ. ინაური, კ. ა. კოჩეტოვი, გ. დ. მგელაძე, გ. ა. მეტონიძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითაშავა, გ. გ. გუშბარიძე, ჯ. ვ. მარგველაშვილი, ვ. მ. სარაძე, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი — პოლიტსამმართველოს უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ვ. ლ. გულელეიჩი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი გ. ა. ზგერსკი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის პოლიტგანყოფილების უფროსი, გენერალ-მაიორი გ. ა. კუცი.

სამოცდაათი წლის წინათ ლენინის პარტიამ საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში გამარჯვებამდე მიიყვანა პირველი წითელგვარდიელები. ლენინის ანდერძით იქმნებოდა და მტაცებლებოდა საბჭოთა არმია. ლენინის მოძღვრება უნათებდა მეომრებს დიდი სამამულო ომის მრისხანე გზებს, მან მოიყვანა ისინი ამ შეხანაშნავ დღესასწაულამდე. ლენინის ძეგლთან დაიწყო გამარჯვების დღესასწაული თბილისში.

სადღესასწაულოდ არის მორთული რევოლუციის ბელადისა და საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლის სახელობის მოედანი. აქ მოვიდნენ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქისა და ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის სარდლობის, ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, დიდი სამამულო ომის ვეტერანები.

ილიჩის ძეგლი მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო დროშებით არის გარშემორტყმული. საბრძოლო დროშის ქვეშ გარინდულან მეომართა საპატიო ყარაულის მწკრივები. ს. ტულიკოვის მელოდიის „ლენინ მუდამ ცოცხალია“ თანხლებით მარმარილოს ძეგლს გვირგვინებით ამკობენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოსა და პოლიტგანყოფილების, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის სამხედრო საბჭოსა და პოლიტგანყოფილების, ქალაქ თბილისის მშრომელების, დიდი სამამულო ომის ვეტერანების სახელით.

ეროერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

მოედანზე სადღესასწაულო მარშით ჩაიარეს თბილისის გარნიზონის მეომრებმა.

... „დიდება დაღუპულთ, დიდება ცოცხლებს!“. — გაისმის გამამცველთა პატივსაცემად აღმართულ ობელისკებთან, ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში აღმართული უცნობი ჯარისკაცის ძეგლებთან და მხედრული დიდების მემორიალებთან საპატიო ყარაულში დადგა 1200 პიონერთა რაზმი და თითქმის ამდენივე კომკავშირული რაზმი.

ტრადიციისამებრ მთელ დღეს გაგრძელდა საყოველთაო-სახალხო დღესასწაული. გაიმართა სპორტსმენთა შეჯიბრებები, უკრავდა მუსიკა, საკონცერტო პროგრამებით გამოვიდნენ საუკეთესო საესტრადო ანსამბლები.

გამარჯვების დღესასწაულის აღსანიშნავ ზეიმში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აჭარის ოლქის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ა[illegible]

ბათუმი

ბათუმი ვეტერანებთან, საზოგადოებრიობისა და ახალგაზრდობის წარმომადგენლებთან ერთად ბათუმის ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა პარკიდან დიდი ბელადის სახელობის მოედნისაკენ სვლაში მონაწილეობდნენ სტუმრები ტრადიციული დღესასწაულისა „ბათუმი მეგობრობისა და ძმობის ქალაქია“. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლის ძეგლის კვარცხლბეკი გვირგვინებით შეამკეს.

შემდეგ კოლონა გაეგმართა დიდების ობელისკისაკენ, სადაც მარადიულ ცეცხლთან უკვე შეკრებილიყო ასობით ადამიანი. აქ გაიმართა მიტინგი.

დიადი გამარჯვების 42 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ემირიძე.

ცხინვალი

— მრისხანე ორმოცდან წლებში ჩვენი სოფლიდან — მეგუთიდან, ჯავის რაიონს რომ ეკუთვნის, ფრონტზე წავიდა ყველა მამაკაცი, — თქვა ცხინვალში გამართული ზეიმის მონაწილემ ილია გაგლოევმა. — ათიდან მხოლოდ ოთხნი დავბრუნდით. ამ ტრაგედიამაც ვერ გაგვტეხა წელში და სოფელი აგრძელებდა სიცოცხლეს, შრომას. ახლა კი ვტოვებთ მეგუთს — მას მეწყერის საფრთხე ემუქრება. მაგრამ იგი გაშენდება სხვა ადგილას და სამშობლოსათვის დაღუპულ მეგუთელთა დიდება არ წაიშლება.

ისევე როგორც ცხინვალის, სამხრეთ ოსეთის ყველა ქალაქისა და სოფლების მცხოვრებლებმა დიდი ზეიმით აღნიშნეს გამარჯვების დღესასწაული.

ავტონომიური ოლქის დედაქალაქში მთელ დღეს გაგრძელდა დღესასწაული, რომელშიც მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. სანაკოევი.

ძუთაისი

ტრადიციისამებრ ქალაქის მშრომელები, ახალგაზრდები დიდი სამამულო ომის ფრონტებზე მებრძოლ ქუთაისელებთან ერთად მოვიდნენ ამ დღეს საბრძოლო დიდების მემორიალთან. აქ საზეიმო მიტინგი გაიმართა.

22 ათასი კაცი წავიდა ქუთაისიდან სამშობლოს დასაცავად, მათგან შვიდი ათასზე მეტი არ დაბრუნებულა. პატივი მიაგეს რა მათ ხსოვნას, მიტინგის მონაწილეებმა მადლობა გადაუხადეს ომის ვეტერანებსაც, რომლებიც დღესაც სიცოცხლითა და ენერგიით არიან სავსე და დიდი წვლილი შეაქვთ ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში.

დღესასწაულის ეპიცენტრები ამ დღეს გახდა ომის წლებში ქუთაისის ევაკოჰოსპიტლებში ჭრილობებისაგან დაღუპულ მეომართა საძმო საფლავზე აღმართული მემორიალიც, საბრძოლო დიდების საქალაქო მუზეუმიც, და რა თქმა უნდა, საცხოვრებელი მიკრორაიონებიც, რომლებიც ყაბარდო-ბალყარეთის მთებში დაღუპული ლეგენდარული კაპიტან ბუხაიძისა და საბჭოთა კავშირის გმირის ლ. ავალიანის სახელებს ატარებენ. აქედან დღესასწაული გაგრძელდა საკონცერტო მოედნებზე, კლუბებსა და კულტურის სახლებში, სპორტულ ნაგებობებში, ყოველ ქუჩაზე, ყოველ ოჯახში.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 42 წლისთავის ზეიმში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ტ. ლორთქიფანიძე.

რუსთავი

9 მაისს რუსთავში საზეიმოდ გაიხსნა დიდების ხეივანი. იმათი ხსოვნის აღსანიშნავად, ვინც სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას შეეწირა, დიდების ხეივანში გაისმა სამგზისი სალუტის ზალპები. დუმილის წუთმა გამოხატა დიადი ბრძოლის მსხვერპლის გამო უდიდესი მწუხარებაც და გამარჯვებულთა მიერ ნაანდერძევი იდეალებისათვის შთამომავალთა უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობაც.

მიტინგზე ომისა და შრომის ვეტერანებმა, ყოფილმა მეომარმა-ინტერნაციონალისტებმა, წარმრთების მოწინავეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ შეუძლებელია იმათი ვალის გადახდა, ვინც გაიმარჯვა ფაშიზმზე, მშვიდობიანი ცხოვრებისა და ეს უზრუნველყო სამშობლო, თაობათა ესტაფეტა გრძელდება თავდადებული შრომით, გულმოდგინე სწავლით სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის, ქვეყნად მშვიდობის საკეთილდღეოდ.

(საქინფორმი).

(დასასრული მე-2 გვ.).

ДЕСЯТИЛЕТИЕ ПОБЕДЫ

СОЧИ

СОЧИ — ГОРОД ВОИНСКОЙ ДОБЛЕСТИ. ЗДЕСЬ ПОЧТИ ВСЕ ЖИТЕЛИ ГОРОДА И ОКРУГИ ПРИНЕСЛИ ВОИНСКУЮ ПРИСЯГУ ЗАЩИТИТЬ ЗЕМЛЮ ОТЕЧЕСТВА ОТ ВРАГОВ. ЗДЕСЬ ПОЧТИ ВСЕ ЖИТЕЛИ ГОРОДА И ОКРУГИ ПРИНЕСЛИ ВОИНСКУЮ ПРИСЯГУ ЗАЩИТИТЬ ЗЕМЛЮ ОТЕЧЕСТВА ОТ ВРАГОВ. ЗДЕСЬ ПОЧТИ ВСЕ ЖИТЕЛИ ГОРОДА И ОКРУГИ ПРИНЕСЛИ ВОИНСКУЮ ПРИСЯГУ ЗАЩИТИТЬ ЗЕМЛЮ ОТЕЧЕСТВА ОТ ВРАГОВ. ЗДЕСЬ ПОЧТИ ВСЕ ЖИТЕЛИ ГОРОДА И ОКРУГИ ПРИНЕСЛИ ВОИНСКУЮ ПРИСЯГУ ЗАЩИТИТЬ ЗЕМЛЮ ОТЕЧЕСТВА ОТ ВРАГОВ. ЗДЕСЬ ПОЧТИ ВСЕ ЖИТЕЛИ ГОРОДА И ОКРУГИ ПРИНЕСЛИ ВОИНСКУЮ ПРИСЯГУ ЗАЩИТИТЬ ЗЕМЛЮ ОТЕЧЕСТВА ОТ ВРАГОВ. ЗДЕСЬ ПОЧТИ ВСЕ ЖИТЕЛИ ГОРОДА И ОКРУГИ ПРИНЕСЛИ ВОИНСКУЮ ПРИСЯГУ ЗАЩИТИТЬ ЗЕМЛЮ ОТЕЧЕСТВА ОТ ВРАГОВ. ЗДЕСЬ ПОЧТИ ВСЕ ЖИТЕЛИ ГОРОДА И ОКРУГИ ПРИНЕСЛИ ВОИНСКУЮ ПРИСЯГУ ЗАЩИТИТЬ ЗЕМЛЮ ОТЕЧЕСТВА ОТ ВРАГОВ. ЗДЕСЬ ПОЧТИ ВСЕ ЖИТЕЛИ ГОРОДА И ОКРУГИ ПРИНЕСЛИ ВОИНСКУЮ ПРИСЯГУ ЗАЩИТИТЬ ЗЕМЛЮ ОТЕЧЕСТВА ОТ ВРАГОВ.

გმირთა ნათელ ხსოვნას მიმძღვნა

9 მაისს ალექსანდრეს ბაღში უცნობი ჯარისკაცის სფლავთან განსაკუთრებით ბევრი ხალხი იყო — აქ საყოველთაო-სახალხო წმიდაიწმიდა ადგილია. ჩვენს გულში, თაობათა ხსოვნაში მუდამ იცოცხლებს დიადი მადლიერების გრძნობა იმათდამი, ვინც სამშობლოს დაცვისათვის ბრძოლებში დაიღუპა...

კრემლის კედელთან მწყობრში გარინდულ ჯარებს გამოუტანიათ იმ საბრძოლო ნაწილებისა და შენაერთების დროშები, რომლებმაც სახელი გაითქვეს ფაშისტ ოკუპანტებთან ბრძოლებში.

იმათი ნათელი ხსოვნის პატივსაცემად, ვინც უკანასკნელი სისხლის წვეთამდე იბრძოდა სამშობლოს ღირსების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ვინც ვერ მოესწრო გამარჯვებას, უცნობი ჯარისკაცის სფლავთან მოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი ს. ლ. სოკოლოვი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილეები, მხედართმთავრები.

სამგლოვიარო მელოდიის თანხლებით საფლავს გვირგვინით ამკობენ. წითელ ლენტზე წარწერილია სიტყვები: „უცნობ ჯარისკაცს, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მეომრებისაგან. 1987 წლის 9 მაისი“.

საზეიმოდ ეროერს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი. მიაგეს რა მხედრული პატივი დაღუპულთა ხსოვნას, უცნობი ჯარისკაცის საფლავის წინ მწყობრი ნაბიჯით ჩაიარეს მოსკოვის გარნიზონის ჯარების ქვეგანაყოფებმა.

* * *

გამარჯვების დღესასწაულის დღეს უცნობი ჯარისკაცის საფლავი გვირგვინებით შეამკეს სკკპ მოსკოვის საქალაქო და საოლქო კომიტეტების, მოსკოვის საბჭოსა და მოსკოვის საოლქო საბჭოს სახელით.

გვირგვინებით შემკობის ცერემონიაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ნ. ელცინი, სკკპ მოსკოვის საქალაქო და საოლქო კომიტეტების მდივნები და ბიუროების წევრები, ომისა და შრომის ვეტერანები, მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მშრომელთა წარმომადგენლები. (საკდესი).

სსრ კავშირში ვიეტნამის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ნგუენ ვან ლინის ოფიციალური მეგობრული ვიზიტად ჩამოვა საბჭოთა კავშირში 1987 წლის მაისის მეორე ნახევარში.

დოკუმენტების კრებული

გამოვიდა 1987 წლის 21-22 აპრილს სსრ კავშირში პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ვ. იარუზელსკის ვიზიტთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და მასალების კრებული.

მასში შევიდა ამხანაგების მ. ს. გორბაჩოვისა და ვ. იარუზელსკის სიტყვები, იდეოლოგიის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში საბჭოთა კავშირ-პოლონეთის თანამშრომლობის დეკლარაცია, სხვა მასალები.

კრებული გამოუშვა პოლიტგამომცემლობამ. (საკდესი).

კოსმოსური ვახტზე

ფრენა გრძელდება

ფრენის მართვის ცენტრი, 8 მაისი. (საკდესი). გრძელდება იური რომანენკოსა და ალექსანდრე ლავეიკინის ორბიტული ფრენა.

კოსმონავტები ამთავრებენ სამუშაოებს „პროგრეს-29“ ავტომატურ სატრანსპორტო ხომალდთან. მიტანილი ტვირთი მათ განალაგეს კომპლექსის სათავსოებში, ხომალდის განთავისუფლებულ ნაკვეთურს კი ავსებენ ნამუშევარი მოწყობილობით. პარალელურად, ფრენის მართვის ცენტრიდან მიღებული კომანდებით, ხდება საწვავითა და გამეანგაგით სადგურის ძრავის დანადგარის ავზების „კმაგაწყობა.

„კვანტ“ ასტროფიზიკური მოდულის განკონსერვების ღონისძიებათა გეგმით ეკიპაჟმა დღეს უნდა მოამზადოს სამუშაოდ წყლის ელექტროლიზის სისტემა, რომელიც პილოტირებულ კომპლექსში ჟანგბადის დამატებითი წყაროა.

გეოფიზიკური კვლევის პროგრამის შესაბამისად კოსმონავტები რეგულარულად აკვირდებიან და ხელის ფოტოკამერებით იღებენ მიწის ზედაპირის ცალკეულ რაიონებს. ამ კვლევის მიზანია, ეერძოდ, ტყის მცენარეულობისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების სეზონური განვითარების შესწავლა, ტყის ხანძრების გამოვლენა, ატმოსფეროში მიმდინარე მეტეოროლოგიური პროცესების დაკვირვება.

გუშინ მოეწყო რთული ორბიტული კომპლექსის ორიენტაციისა და სტაბილიზაციის სხვადასხვა რეჟიმის დამუშავების ექსპერიმენტების კიდევ ერთი სერია.

9 მაისს იური რომანენკო და ალექსანდრე ლავეიკინი დაისვენებენ.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებისა და ორბიტიდან მიღებული მოხსენებების თანახმად, „მირ“ პილოტირებული კომპლექსის ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს.

გამარჯვებული ხალხის ზეიმი

(დასასრული)

წლების სტუდენტები და მეომრები შეიკრიბნენ ამ დღეს რესპუბლიკის მოედანზე, რომელიც დღესასწაულობის ეპიცენტრი გახდა. აქ გაიმართა პოლიტიკური და სამხედრო-პატრიოტული სიმღერის ზეიმი.

ეს ტრადიცია შარშან, გამარჯვების დღესასწაულის წინ იშვა რესპუბლიკის სასწავლებლებში, სამხედრო ნაწილებში მოეწყო მუსიკალურობის, ვოკალური ოსტატობის თავისებური გამოცდები. და წელს საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს ერგოთ პატივი გამოსულიყვნენ დღესასწაულობის მონაწილეთა და სტუმართა წინაშე.

... მზის სხივები, რომლებიც გამარჯვების მეომრების მეოხებით უკვე ორმოცდაორი წელია ჩვენი ქვეყნის თავზე არავითარ ლუბელს არ დაუბნელებია, ნათელს ჰფენს გიგანტურ ტრანსპარანტს; მოედანზე ამწე სცენარომ ამშენებს. მზის გამოსახულებაში ჩაწერილია „9 მაისი“, რომელიც გამარჯვებისა და სამამულო ორდენებით არის შემკული და საგაზაფხულო ყვავილების გვირგვინშია ჩასმული. თითოეს ყვავილებს აუცრელებიათო მარჯენივ და მარცხნივ მდებარე ტრიბუნებიც. აქ თბილისელ მოსწავლეთა და სტუდენტთა გუნდები დგანან.

მოედანზე შესასვლელებთან მეომართა კოლონები ჩამწკრივებულან. აქ დგანან თბილისში ჩამოსული მოტომსროლელები, მფრინავები, ტანკისტები, აგრეთვე თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვანი, წითელი ვარსკვლავის ორდენოსანი მეთაურთა საარტილერიო უმაღლესი სასწავლებლის კურსანტები. ისინი წარმოადგენენ დღეს არმიელ სმენერას.

გაისმის ფანფარების სიგნალი, „ისმინეთ ყველამ!“ რ. ლაღიძის ანტატის „მოამჯეს ოქტომბერი“ და გ. ცაბაძის სიმღერის — „მშვიდობა შენდა“ შესრულებით იწყება დღესასწაული. მის თემატიკურ მიმართულებას ეხმიანება ყოველი მელოდია. „ჩვენ ხალხის არმია ვართ“ — გუგუნებენ დინამიკები, და მოედანზე შემოდიან ამიერკავკასიელი მეომრები. სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ისტორიაზე, მხედრულ სადაგ დღეებზე მოგვითხრობენ მათი შესრულებული სიმღერები.

ჩინებულ გაწვრთნილობას, სამწყობრო მომზადებას ცხადყოფენ სამშობლოს დამცველები. მაგალითს იძლევა ნაკრები სამხედრო [illegible], რომელიც გადაადგილდება და ქვეთენილზე გამოსახავს ლოზუნგს „70 წელი“, შემდეგ დგება მოედნის ცენტრში და მეომართა სვლის თავისებური კამერტონი ხდება. სამხედრო მუსიკოსებს შორის არის დიდი სამამულო ომის მონაწილე, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი, პროპორშჩიკი გიორგი შამოკი.

— ორმოცდასამი წლის წინათ ავტომატის მაგივრად ხელში ავიღე კორნეტ-ა-ფისტონი და ჩვენი ოლქის შტაბის ორკესტრში მოვედი, — თქვა მან ზეიმის დაწყებამდე. — ომი მთავრდებოდა და ადამიანებს უნდოდათ სიმღერები განცდილზე, ნათელ მომავალზე.... ბევრ ზეიმში მიმიღია მონაწილეობა მას შემდეგ, მაგრამ 9 მაისის დღესასწაულზე მუდამ განსაკუთრებული მღელვარებით გამოვდივარ. აბა რა დამავიწყებს, სიმღერის სიტყვებით რომ ვთქვა, „როგორ ვაახლოვებდით ამ დღეს...“.



სიმღერით ჩაიარეს მეომართა კოლონებმა. თითქოს წარმოსახავენო ა. პახმუტოვის ნაწარმოებს „გოლიათურ ძალას“ — საჩვენებელ პროგრამას ასრულებენ არმიელი სპორტსმენი-ძალოსნები.

მაგრამ საბჭოთა მეომრების ძალა მარტო კარგად ნავარჯიშები კუნთები და მძლავრი ტექნიკა როდია. ეს არის უწინარეს ყოველისა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების უძლეველი სული, პარტიის, ხალხის ერთგულება, პატრიოტიზმი, რომელსაც ღრმად გაუდგამს ფესვი სამოქალაქო და დიდი სამამულო ომის წლებში. სწორედ ამ ვაჟკაცური და კეთილი ძალის მეოხებით გულდაჯერებით და ბედნიერად ცხოვრობს მშვიდობიანი ცის ქვეშ ახალგაზრდობა, ის, რომელსაც სიმღერის დღესასწაულზე წარმოადგენენ აფხაზეთის ასს და აჭარის ასს რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ანსამბლები, ნორჩი თბილისელი ტანმოვარჯიშეები, ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მოკეკვავენი, ლაღად რომ ასრულებენ „არმიელ ცეკვას“.

გამარჯვების დღესასწაულის კიდევ ერთი ტრადიცია — სიმღერის პრემიერა. და გაისმის რესპუბლიკის მოედანზე შ. მილორავას ახალი მელოდია „ფიცი სამშობლოს“.

რესუბლიკის მოედანზე დღესასწაული დასასრულს უახლოვდება. მისი ყველა მონაწილე ასრულებს გამარჯვებისადმი მიძღვნილ სიმღერებს, ჟღერს მელოდიები, რომლებსაც ბავშვთა ორკესტრები ასრულებენ. საგაზაფხულო ცა სადღესასწაულო ფოიერვერკით აფერადდა.

იგი მოჩანს ქალაქის ყველა კუთხიდან. მისი ნათელი ეფინება მასობრივი სახალხო სეირნობების, ეზოებში გამართული ზეიმების მონაწილეებს.

ამჯერად, დაბნელებამდე გააჩაღეს თავიანთი ტრადიციული კოლონი ყოფილი პარტიზანების შეხვედრის მონაწილეებმა ლისის ტბის შემოგარენში. როგორც ბოლო წლებში ხდება ხოლმე, მათთან ერთად დღესასწაულობაში მონაწილეობდნენ ინტელიგენტი ანტფაშისტები, წინააღმდეგობის მონაწილენი.

— მეშვიდიდან ჩამოვდიხარ საქართველოში, — თქვა გადამდგარმა გენერალმა ჯანი დაეერიომ, რომელიც ომის დროს მეთაურობდა წინააღმდეგობის რაზმებს გარბალდელთა შტაბში. — და ყოველთვის ქართველ თანამებრძოლებთან შეხვედრისას არ შემძლია თვალს მომდგარი ცრემლების შეკავება. დავიფიცეთ, რომ ჩვენი ყოველწლიური შეხვედრებით პატივს მივაგებთ ჩემი სამშობლოს თავისუფლებისათვის დაღუპული ქართველებისა და იტალიელების ხსოვნას. ძალიან გვინდა, რომ ჩვენს სკოლებში წინააღმდეგობის მოძრაობის ისტორიას სწავლობდნენ ისევე, როგორც თქვენთან სწავლობენ გასული ომის ისტორიას, ის, რაც გადავიტანეთ, ა[illegible] უნდა მიეცეს დავიწყებას, ვინაიდან დღეს განსაკუთრებითაც საჭიროა ყველანი გავერთიანდეთ მშვიდობისათვის საბრძოლველად.

სწორედ მშვიდობისათვის ბრძოლა და იმათი წმიდათაწმიდა ხსოვნა, ვინც მას შეესწირა სიცოცხლე, იყო გამარჯვების დღესასწაულის ლაიტმოტივი, საღამოს რესპუბლიკის დედაქალაქში სადღესასწაულო სალუტით რომ დამთავრდა.

სურათებზე: დიდ სამამულო ომში გამარჯვების 42-ე წლისთავისადმი მიძღვნილი დღესასწაული თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე (პირველი გვერდი); იტალიის წინააღმდეგობის მონაწილენი გამარჯვების პარაში; მოზეიმეთა შორის.

ჯ. ლომაძის, ფ. კრიმსაკის („კომუნისტი“), ა. რუხაძის, მ. დათიკაშვილის, ბ. ცაბარლის (საქინფორმის ფოტოქრონიკა) ფოტო.

ᲨᲔᲪᲠᲝᲡᲘ ᲡᲔᲠᲭᲐᲜᲢᲘᲡ ᲩᲮᲘᲙᲕᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ „ᲢᲐᲤᲐ“

საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის დ. ჩხიკვიშვილის გამოცდილება... ომის დროს ბომბდამშენის საბრძოლო ძალის გაზრდაში დიდი ინტერესით შეიტყვეს მეომარმა ავიატორებმა, რომლებიც დიდი სამამულო ომის ისტორიას ეცნობოდნენ. სერიის — „საბჭოთა სამშობლოს გმირები“ — ერთ-ერთ უკანასკნელ წიგნში, სადაც მოთხრობილია ავიაციის მთავარი მარშლის ა. გოლოვანოვის შესახებ, იგი უმცროსი სერჟანტის დ. ჩხიკვიშვილის გამომგონებლობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა.

ის, რომ დავით ჩხიკვიშვილი იყო იმ ეკიპაჟის წევრი, რომელიც ერთ-ერთი პირველი ბომბავდა ბერლინს მრისხანე 1941 წელს, დღეს მრავალმა იცის. მაგრამ პოლკის ისტორიაში, რომელსაც ომის დასაწყისში გოლოვანოვი მეთაურობდა, ჩვენი თანამემამულე მის მიერ გამოგონილი „ტაფის“ წყალობით შეეიდა. სწორედ ამ მშვიდობიანი სიტყვით მონათლეს მფრინავებმა სამარჯვი, რომელიც გთვალისწინებული არ ჰქონდათ თვითმფრინავის შემქმნელებს.

...1941 წლის 28 ივნისისათვის 212-ე შორი მოქმედების ბომბდამშენთა პოლკში 14 მანქანაა დარჩა, რომლებსაც შეეძლოთ საბრძოლო დავალების შესრულება. უთანასწორო ბრძოლაში ჩაბმულ ავიატორებს დანაკარგის შემცირებისათვის უწევდათ არა მარტო მამაცობისა და ოსტატობის გამოჩენა ჰაერში, არამედ ინიციატივისა და საზრიანობის გამოჩენაც ფრენისათვის მზადების დროს.

მფრინავმა რადისტმა დ. ჩხიკვიშვილმა პირველი ბრძოლების შემდეგვე მიაქცია ყურადღება იმას, რომ ილ-14 ბომბდამშენის კუდს უკან იქმნებოდა „მკვდარი სივრცე“. ამ ადგილს ვერ წვდებოდა თვითმფრინავზე დადგმული ვერც ერთი ტყვიამფრქვევის ცეცხლი. ჩხიკვიშვილმა წინადადება წამოაყენა დაემაგრებინათ თვითმფრინავის კუდის ნაწილში კიდევ ერთი ტყვიამფრქვევი და მისი სასხლეტი მექანიზმისაგან გაეკეთათ გვარი, რომელიც მსროლელს მიებმებოდა ფეხზე. ეს საშუალებას იძლეოდა ერთდროულად ორი წერტილიდან ესროლათ. ხოლო ტურელის დასაცავად, რომელსაც მფრინავი მართავდა, გამოიყენეს ჯავშნიანი საფარი. სწორედ ამ საფარს უწოდეს „ტაფა“.

თავიდან ბევრი დასცინოდა ამ წინადადებას. მაგრამ პოლკის მეთაურმა ა. გოლოვანოვმა, რომელიც ყურადღებით გაეცნო კონსტრუქციას, მოიწონა იგი და წინადადება წამოაყენა გამოეყენებინათ ბრძოლაში.

პირველივე საჰაერო ბრძოლაში „ტაფამ“ იხსნა თვისი ავტორის სიცოცხლე — მასზე მსხვილყალიბრიანი ტყვიის ზვიდი შენატყლეკი დათვალეს. ჩხიკვიშვილი მხოლოდ ფეხში დაიჭრა მსუბუქად და განაგრძობდა ფრენას.

კუდზე დადგმულმა დამატებითმა ტყვიამფრქვევმა კი საბჭოთა მფრინავებს ბრძოლის ახალი, ფაშისტებისათვის მოულოდნელი ელემენტიკის გამოყენების საშუალება მისცა. როცა ზვდებოდა ცეცხლში, მტრის მფრინავი, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ უსაფრთხო „მკვდარ ზონაშია“, იძულებული ხდებოდა ზევით აეწიოდა, და თვისი ავიაგამანადგურებლის მუცელს უშვერდა ტურელის დანადგარის ცეცხლს. ასე ჩამოაგდო ჩხიკვიშვილმა ზვიდი „მესერშმიტი“.

მას შემდეგ რამდენიმე ათეული წელი გავიდა. დავით ჩხიკვიშვილმა ბომბდამშენის კაბინა მეცნიერის სავარძელზე გაცვალა. იგი იყო პარტიული მუშაკი, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი. 1980 წლიდან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დ. ი. ჩხიკვიშვილი სათავეში უდგას რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს.

ვ. გოლოვინი,
საქინფორმის კორ.

ᲝᲠᲒᲖᲘᲡ ᲝᲛᲒᲐᲛᲝᲕᲚᲘᲚᲘ

დედა არ ახსოვს, მისი მაგივრობა მამიდამ გაუწია. 12 წლისას მამაც გარდაეცვალა. ცნობილმა რევოლუციონერმა, პუბლიცისტმა და საზოგადო მოღვაწემ მუხრან ხოჟოლავამ, თავად სამშობლოს ერთგულებაში დღეგალეულმა ვაჟკაცმა, სულ რამდენიმე სიტყვა დუტოვა შვილს ანდერძივით: „შვილო, კლარა, შენ იცი, როგორ მოგადგები ხალხს და სამშობლოს“...

სულ ხუთი წლის საექიმო გამოცდილება ჰქონდა, თეთრი ხალათი მეომრის ფარაჯით რომ შეიცვალა და თეთრფინელებთან საბრძოლველად წავიდა, ჩრდილოეთის მკაცრ ყინვებში ოთხ თვეზე შეტ ხანს დაჰყო. სანიმუშოდ მოიხიბადა მხედრული ვალი, რისთვისაც, 1940 წლის 9 აგვისტოს კრემლის დარბაზში მიხეილ კალინინმა საჯაროდ გადასცა მედალი „საბრძოლო დამსახურებისათვის“.

ომის ქარცეცხლიდან დაბრუნებულმა ამოსუნთქვა ვერ მოასწრო, რომ დიდი სამამულო ომი დაიწყო. კლარა ხოჟოლავა კვლავ საკუთარი სურვილით წავიდა ფრონტზე.

სტალინგრადის ბრძოლები ყველაზე ცხოველად დაიჩნდა ხსოვნას. ...1941 წლის 28 ივნისისათვის 212-ე შორი მოქმედების ბომბდამშენთა პოლკში 14 მანქანაა დარჩა, ...

...ოლქის ... ...

მრწამსის ერთგული

შემოქმედებითი მოწიფულობის ხანას კინორეჟისორი გიორგი შენგელაია მნიშვნელოვანი წარმატებებით შეხვდა. თუმცა საქეყნოდ აღიარებული მისი შემოქმედება განახლებისა და მომავალი წარმატებების უტყუარ ნიშნებსაც გვამცნობს.

აღიარების ერთ-ერთი მიზეზი, ალბათ, ის არის, რომ გ. შენგელაია მიეკუთვნება იმ რეჟისორთა რიცხვს, რომლებიც შემოქმედებით ძიებებს, თამამ აზროვნებასა და პროფესიონალიზმს წარმატებით უფარდებენ გამომხატველობის მომხიბვლელობას, ნათელ აზროვნებას, და მაღალმხატვრულ ხელოვნებას მისაწვდომს ხდიან ფართო აუდიტორიისათვის.

გ. შენგელაია ქართველ კინემატოგრაფისტთა 60-იანელთა თაობას მიეკუთვნება, თაობას, რომელიც მოვიდა ძიებით, კინოპროცესის განახლების საოცარი მოთხოვნილებით.

თამამი მაძიებელი სული გ. შენგელაიამ დღემდე შეინარჩუნა. მისი ყოველი ფილმი ახალი მიჯნების, მხატვრული სახეირების ძიებაა — განსხვავებული თემატიკით, ჟანრით, მასალისადმი ავტორისეული მიმართებით. და მაინც, გ. შენგელაიას ფილმებს აქვთ ერთი ისეთი ნიშანი, რაც რეჟისორის პიროვნებას, მის პროფესიულ ხელწერას საცნობსა ხდის. ეს გახლავთ დაინტერესება ადამიანით. რაზედაც უნდა მოგვითხრობდეს ავტორი, რა ისტორიულ-სოციალური ძვრების ჩვენებაც უნდა ჰქონდეს გამიზნული, მისი შემოქმედების ქვაკუთხედი ადამიანია.

გ. შენგელაია თავის ფილმებში უბრალო, ჩვეულებრივ ადამიანებზე მოგვითხრობს. იგი აკვირდება ადამიანს და იმდენად დიდია მასზე, როგორც რეჟისორზე ადამიანის, ანუ ფილმის გმირის გავლენა, რომ შეიძლება ითქვას, ფილმის არქიტექტონიკა მთლიანად ეფუძნება ადამიანის ხასიათს, მის ინდივიდუალურ ხატს. ადამიანის შინაგანი სამყარო კარნახობს რეჟისორს ფილმის დოკუმენტურ-პუბლიცისტურ სტილისტიკას „ალავერდობაში“, სათავგადასავლო ჟანრისათვის დამახასიათებელ დინამიურობას „მაცი ხვიტიაში“, პოეტური განსჯის ინტონაციას „ფიროსმანში“, მხატვრული ქრონიკის სტილს ფილმში „ქვიშანი დარჩებიან“ და ა. შ. ეს ის ცვლილებათაა, რომელსაც გ. შენგელაიას შემოქმედების დამახასიათებელ ნიშნად მიიჩნევენ. ჩემი აზრით, ეს ცვლილებათა რეჟისორის მხატვრული აზროვნების ორგანული ფორმაა, რომელიც ყოველთვის უპასუხებს კონკრეტულ ჩანაფიქრს.

გ. შენგელაია — კინორეჟისორი ქართველმა მაყურებელმა 1962 წელს გურამ რჩეულიშვილის მოთხრობის „ალავერდობის“ მიხედვით გადაღებული ამავე სახელწოდების ფილმით გაიცნო. მანამდე მას იცნობდნენ, როგორც მსახიობს — ფილმებში „ჩვენი ეზო“, „ოთარაანთ ქვრივი“, „ამბავი ერთი ქალაშვილისა“, რომლებშიც მთავარი როლები ითამაშა. მის მიერ დახატული უადრესად გულწრფელი კინოგმირები მხოლოდ შშობლების — ნიკოლოზ შენგელაიას და ნატო ვახტანგის სხიმოლილი შემოქმედებით არ იყო განათებული — ახალგაზრდა მსახიობმა თანამედროვე ადამიანს უცხო საფიქრალი აღუძრა და ეს საფიქრალი მით უფრო მნიშვნელოვნად გამოითქვა, როდესაც მისი სარეჟისორო დებიუტი შედგა.

„ალავერდობა“ ნიჭიერი რეჟისორის დაბადებაზე მეტყველებდა. იგი ყურადღებას იპყრობდა გამოკვეთილი პოზიციით, სიმართლის გრძნობა ამ ხარვეზს და იღებს ქართული კინოს ისტორიაში პირველ მიუზიკლს — „ვერის უბნის მელოდიებს“, სადა, უპრეტენზიო სიუჟეტის ფილმს — სიკეთის, სიყვარულის, სილამაზის ამაღლებულ გრძნობებზე და გვამცნობს ადამიანებისადმი კეთილმოსურნე დამოკიდებულებას.

მუსიკა, როგორც კინემატოგრაფიულ სახეირებასთან შენიერთებული გამოხატვის საშუალება, კვლავ დაიინტერესებს გ. შენგელაიას მოგვიანებით, როდესაც გადაიღებს „სიყვარულის ყველას უნდა“ (მ. ჭიაურელთან ერთად, 1980).

გ. შენგელაიას შემოქმედებითი მისწრაფებების, თანადროულობისადმი მიმართების, ცხოვრებისეული მრწამსის შეცნობისათვის, მრავლისმთქმელია მის მიერ 1976 წელს გადაღებული ფილმი „ქვიშანი დარჩებიან“, რომელშიც მან ფილმის მთავარი გმირის — ინჟინერ ვაჟა გიორგაძის როლიც განასახიერა.

გ. შენგელაია, თავად საოცრად მობილიზებული, აქტიური მოქმედების ადამიანი, საოად და ორიგინალურად მოაზროვნე, მკაცრიც და ლმობიერიც, სევდიანიც და იუმორით აღსავსე პიროვნება, რომელიც ბუნებითაა მოწოდებული იყოს ადამიანთა აზრისა და ქმედების წარმმართველი, ვაჟა გიორგაძის სულთა მრავალმხრივ ეხმიანება. ისევე, როგორც „ალავერდობაში“, აქაც ავტორისა და გმირის ბუნებრივი თვისებების გაიგივებასთან გვაქვს საქმე. მაგრამ თუ დებიუტში საზოგადოებისადმი დამოკიდებულებას პროტესტის დაუოკებელი ვნებით გამოხატავდა, ფილმში „ქვიშანი დარჩებიან“ ავტორისეული პოზიცია მეტი მოთმენით, ადამიანების გაგების მეტი უნარითაა გამორჩეული.

„წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო“... დარჩენილი ქვიშა ხომ ერის მატერიალური და სულიერი დოვლათის სიტყვიერი გამოხატულებაა, რომლისაც განსაკუთრებით სწამს რეჟისორს. დარჩება სიკეთე, სიბრძნე, რაიც ისევ და ისევ მომავალი ცხოველმყოფელობის საწყისის სტიმულად გარდაიქმნება.

ცნობილია, რომ რეჟისურა, მიუხედავად ფილმზე მუშაობის კოლექტიური პრინციპისა, თვითგამოხატვის ფორმაა და რეჟისორის, როგორც ფილმის ავტორის დამახასიათებელი ხელწერისა და აზროვნების მაუწყებელია. ნაწარმოების რეჟისორულ ინტერპრეტაციაში ისახება სახე—პრობლემების ჭეშმარიტად ორიგინალური გაგაზრება, რის საფუძველზეც ემსჯელობთ ამა თუ იმ ავტორის მსოფლშეგრძნებაზე, მხატვრულ პრინციპზე.

რეჟისურისადმი ასეთი მიმართებით გ. შენგელაიას შემოქმედებითი სამყარო უაღრესად სინტეზირებულია. მას, როგორც ხელოვანს, რომელსაც სტილური გარდასახვა შემოქმედების დამახასიათებელ ნიშნად აქვს გადაქცეული, ანასიათებს ისეთი თვითმყოფადი და მკვეთრად ჩენილი თვისებაც, როგორიცაა გამომსახველი ფორმების ბუნებრივი, თითქმის პირველქმნილი სისადავე. ის, რაც ზოგიერთისათვის შეზღუდულობის, ერთგვარი მონოტონურობის მაჩვენებელი ეჩვენებოდა, გ. შენგელაიას შემოქმედებაში მრავლისმეტყველი სიცხადითაა გამოვლენილი.

გ. შენგელაია სადა გამომხატველი ფორმების მომხრე რეჟისორია, მისთვის სისადავე, ბუნებრივობა მარადიული და ჭეშმარიტად მხატვრული ღირსებების მქონე გამომხატველი საშუალებაა. ამ მხრივ გ. შენგელაიას მხატვრული სამყაროს გამომსახველი ხერხები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს: სისადავის მიღმა ნიჭიერი ხელოვანი, პიროვნება ჩანს, რომლის ნაზარეკვეც ეროვნული კულტურის წიაღიდანაა ამოზრდილი. ამის ნათელი დადასტურებაა მისი ერთ-ერთი ბოლო ნაშუშევარი „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“, რომელიც გ. შენგელაიას განცდის უნარიანობის და მხატვრული ასოციაციების, ფართო ტევადი აზროვნების შთამბეჭდავი მაგალითია.

გ. შენგელაია — „ალავერდობისა“ და „ფიროსმანის“ ავტორი, ადამიანის დროსა და სივრცეში არსებობის ხატოვანი მკვლევარი, „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობაში“ ამძაფრებს მის მიერ ადრე გამოთქმულ მოსაზრებებს ადამიანის სულიერი სამყაროს, ადამიანისა და საზოგადოების ურთიერთობის შესახებ, გვიჩვენებს ცხოვრების სიღრმისეულ სურათს, თამამად და მძლავრად აღგვიძრავს სულის სიღრმეში ჩაკირული საფიქრალს და ამით კიდევ ერთხელ გვახსენებს შემოქმედის ჭეშმარიტ დანიშნულებას, რომელიც ერის სულიერი ცხოვრების, მისი სიხარულისა და ტკივილის გამოხატვასთანაა დაკავშირებული.

ფილმის მაღალმხატვრულ თვისებებზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ 1985 წელს, მინსკში გამართულ კინოფესტივალზე მან მიიღო მთავარი პრიზი; აგრეთვე დასავლეთ ბერლინის 1986 წლის XXXVI საერთაშორისო კინოფესტივალზე პრიზი საუკეთესო რეჟისურისათვის — „ვერცხლის დათვი“.

დღეს ბევრი რამ ითქმის, იწერება ხელოვნის მისიაზე, მის პირუთვნელ მოღვაწეობაზე ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ. გ. შენგელაიას თავისი ნახევარსაუკუნოვანი ცხოვრების და შემოქმედებითი ღვაწლის სამი ათეული წლის მანძილზე არასდროს უღალატია იმ დიდი მრწამსისათვის, რომელსაც ხელოვნების სამსახური ჰქვია.

შემოქმედება რთული პროცესია, აზრის, სულიერი საწყისისა და ქმედების მობილიზებული გამოვლენაა. შემოქმედებაში სრულად ირეკლება ადამიანი, შემოქმედი. შემოქმედებაზე ფიქრი მის მიღმა მდგარ ადამიანზე ფიქრსაც ნიშნავს. აი ამიტომ გ. შენგელაია გმირია ყოველი თავისი ფილმისა, გმირი, რომელიც ავლენს ადამიანის შეცნობილსა და შეუცნობელ ბუნებას, რომელიც წარმოადგენს ჩვენი თანამედროვის სახეს.

ეთერ ოკუჯავა.

ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘᲡ ᲐᲤᲘᲨᲐᲜᲘ

ახალგაზრდული სპექტაკლების III საკავშირო ფესტივალმა 23 თეატრალურ კოლექტივს მოუყარა თავი. ცხონილი თეატრების გვერდით მონაწილეობენ ახლად შექმნილი სტუდიებიც.

თეატრების მიერ წარმოდგენილ კლასიკურსა და თანამედროვე დრამატურგთა პიესებს აერთიანებთ ზნეობრივ-ეთიკურ პრობლემათა გამოკვეთა, ხოლო ისტორიული თემა (რომელიც წინა ფესტივალების ფართოდ იყო წარმოდგენილი) ა. ლევადის „კამათი“ შემოიფარგლა.

მიმდინარე ფესტივალმა უნდა დაგვანახვოს ახალგაზრდა შემოქმედთა მიღწევები, ძიებები და გაანალიზოს მათი განვითარების შემდგომი გზები.

ფესტივალი გაიხსნა ლიტვის სსრ სახელმწიფო ახალგაზრდული თეატრის სპექტაკლით ა. ჩეხოვის „ძია ვანოთი“. რეჟისორი ე. ნეკროშიუსი საინტერესო და თავისებურ ვერსიას გვთავაზობს. სპექტაკლში უკანა პლანზე აღმოჩნდა სოციალური მოტივები და ყურადღება გამახვილდა გმირთა ზნეობრივ სახეებზე. რეჟისორი ისეთ გარემოს ქმნის, სადაც ყოველი პერსონაჟი, ერთი შეხედვით, ეწინააღმდეგება ავტორისეულ ემოციურ-ლირიკულ წყნარ ტონს. ისინი გარეგნულად აღგზნებულნი და აფორიაქებულნი არიან, რასაც შინაგანი დაძაბულობაც ემატება. რეჟისორი ცდილობს, რომ გმირებში არ გამოირჩეოდეს რომელიმე განსაკუთრებით დამახასიათებელი თვისება, რადგან სპექტაკლში მთავარია რთული, ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათების ერთობლიობა, გაზნოგადებულად ჩვენება. ე. ნეკროშიუსი პროლოგსა და ეპილოგს პიესისაგან განსხვავებულად წარმოგვიდგენს. თუ დასაწყისში ასტროვი შუშის ქილებით მკურნალობს მოხუც მარინას, სპექტაკლის ბოლოს ვოინიცკის იგივე მკურნალობას უტარებს სოფლელ ექიმ ბოლეროვს. ეს ორ ადამიანს ერთ-ერთ ადგილზე ერთ-ერთ ბოლო ფიქრად ეკარგებოდა

აქ მეგობრობა ბინადრობს მხოლოდ

— **რომ** ვთქვა, ისეთი მოცეკვავეები და მომღერლები გეყოლა, ახლავე რომ გაგზავნოთ რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე, აუცილებლად ლაურეატის ოქროს მედლებით დაგვიბრუნდებიან-მეთქი, იქნებ ცოტა გადაჭარბებულიც გამომივიდეს, — ღიმილით მეუბნება ჩვენი თანამოსაუბრე. — მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგეს, არც მთლად ხელწამოსაკრავი და ლარიბრეპერტუარიანია ჩვენი ანსამბლი, რაიონული მასშტაბით ხშირად გავსულვართ საპრიზო ადგილებზეო, სერიოზული ტონით დასძინა შემდეგ.

ბორჯომის რაიონის ციხისჯვრის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დმიტრი ხურციდაა მოგვითხრო იმის შესახებ თუ ნაყოფიერი გარჯის შემდეგ კულტურული დასვენება-გართობისა თუ სპორტში მეცადინეობის როგორი პირობები ჭრნდა ფენომენ შექმნილი აქაურ მშრომელებს.

— აი, იმ შენობაში, — ორსართულიან კაპიტალურ ნაგებობაზე მიგვითითა ჩვენმა მეგზურმა, — რომელსაც საკუთარი ცენტრალური გათბობა აქვს, სასოფლო კლუბი და ბიბლიოთეკაა. გარდა ამისა სოფელში არის სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების თითქმის ყველა საჭირო ობიექტი: ფოსტა-ტელეგრაფი, ავტომატური სატელეფონო სადგური, ამბულატორია, მაღაზიები, ფერხე, თონე, აბანო, მუშათა სასადილო, წყალსადენი, მარტივი ტიპის სპორტული მოედნები, ვლებულობთ ტელეგადაცემებს... მოკლედ, მუშაობის პირობებიც გვაქვს და შრომისაც.

დმიტრი ეროვნებით ბერძენია. საერთოდ ამ სოფლის მოსახლეობის ოთხმოც პროცენტზე მეტს ბერძნები შეადგენენ. მათი წინაპრები აქ გასული საუკუნის 60-70-იან წლებში დასახლებულან, ძალიან შეჩვევიან აქაურობას და საქართველო თავიანთ მეორე სამშობლოდ უგულვიათ. ასევე ფიქრობენ ახლანდელი ციხისჯვრელებიც და რაიონში მცხოვრები ოცამდე ერისა თუ ეროვნების წარმომადგენელთა მხარდამხარ ერთგულად შრომობენ საერთო საქმის სასიკეთოდ.

ციხისჯვრის სანაშენე მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა 1958 წელს შეიქმნა და მას შემდეგ მოწინავეთა რიგებშია. მისმა კოლექტივმა ყველა ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით წარმატებით შეასრულა მთლიანად შარმანდელი წლისა და წლევანდელი პირველი კვარტალის გეგმა-ვალდებულებები. საგრძნობლად შეამცირა ხორციელა, ძროხა თვითღირებულება. ეს მიღწევები, ცხადია, აქაური მშრომელების ნაყოფიერი გარჯის შედეგია, რომელთა კარგი მუშაობა მრავალგზის აღნიშნულა საშობლოს მაღალი ჯილდოებით. მაგალითად, შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებული არიან მშველავები ნ. მიხაილოვი და ნ. ილიევი, მეურნეობის დირექტორი მ. ხუციურაული, მესამე ხარისხის შრომითი დიდების ორდენებით — მშველავი ო. ჩაროვა, მემინდვრეობის ბრიგადის ხელმძღვანელი პ. პანაეტოვი და სხვები. სოფელში მრავლად არიან საბრძოლო ორდენების კავალრები. 64 ციხისჯვრელი მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში, რომელთაგან 29 აღარ ვერ დაუბრუნდა მშობლიურ კერას. მათ უკვდავსაყოფად სოფლის ცენტრში აღმართულია შიხმოუსვლელთა ობელისკი.

— სამეურნეო მაჩვენებლები მართლაც არა გვაქვს ცუდი, — გვითხრა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანმა ქრისტო ბარძიმაძემ, რომელიც 20 წელზე მეტია აქაური კომუნისტებს თავკაცობს, — მაგრამ გასაკეთებელი მაინც ძალზე ბევრია. ჩვენ უმეტეს, რომ რეზერვები არის. საჭიროა სიახლეთა უფრო გაბედულად დანერგვა, მუშაობის პროგრესული ფორმების გამოყენება. ამის შესახებ გვქონდა მსჯელობა პარტიულ კრებაზე, რომელზეც სკკპ ცენტრალური კომიტეტის წლევანდელი იანვრის პლენუმის შედეგები განვიხილეთ და მისი გადაწყვეტილებების მიხედვით შევიფასეთ ჩვენი საქმიანობის ხარვეზები.

სწორედ მაშინ გადავწყვიტეთ მეურნეობის ოთხივე ბრიგადა გადავიყვანოთ ბრიგადული იჯარით მუშაობის ფორმაზე, რაც, დარწმუნებული ვართ, ძალზე დაგვეხმარება ახალ წარმატებათა მოპოვებაში. ამ მხრივ მოსამზადებელი სამუშაოები უკვე დავამთავრეთ. მაგრამ მარტო ეს არ კმარა, საჭიროა თითოეულის, რიგითი მშრომელისა თუ სპეციალისტის მეტი პასუხისმგებლური, ორგანიზებული გაჭრა, გარდაქმნის ტემპის დაჩქარება. ესეც ხაზგასმით ითქვა ჩვენს კრებაზე. არის სხვა პრობლემებიც, რომელთა გადაჭრას რაიონის ხელმძღვანელობის დახმარებით ეცდილობთ.

ნაყოფიერად, მეგობრულად ცხოვრობენ და მუშაობენ ამ მშვენიერი სოფლის მშრომელები, ძმურად იზიარებენ ჭირსა თუ ლხინს, ერთმანეთის მხარდამხარ იღვწიან საერთო საქმის წინსვლისათვის. აქ მხოლოდ მეგობრობა ბინადრობს და იმარჯვებს.

რ. ჩარკვიანი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

როგორც კეთილ და ხალისიან მეგზურს შეშვენის

ეს პაწაწინა წიგნი, რომელიც ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურმა სასახლემ გამოსცა და ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავს ეძღვნება, რამდენადმე უჩვეულო და ამიტომაც უფრო საინტერესოა.

მის შემდგენლებსა და გამომცემლებს უპირველეს მიზნად ის დაუსახავთ, რომ ყმაწვილებს, რომლებსაც სულ მალე დასასვენებლად მოუხმობს „ზაფხული-87“, დაეხმარონ ცოდნის გარღვევებში, ეროს უკვდავი მოძღვრის მოღვაწეობის უკეთ გაგაზრებაში, უკვე ნასწავლის გახსენებასა და ახლის შეძენაში. ყოველივე ამას სახალისოსა და ზარმაცს ხდის კროსვორდები თუ რებუსები, ვიქტორინები თუ თავსატეხები. ბავშვები აქ ბევრ საგულისხმო ფაქტს და დიდი ილიას ბრძნულ გამოთქმათქვამებსაც გაეცნობიან.

ერთი სიტყვით, პირველ ყოვლისა კრებულის შემდგენელ-რედაქტორის გ. ჩხეიძისა და სხვათა მეცადინეობით აქ ყველაფერი ისეა გაკეთებული — ტექსტით დაწყებული და ილუსტრაციით დამთავრებული, როგორც ეს ყმაწვილების კეთილ და ხალისიან მეგზურს შეშვენის.

ცხადდება კონკურსი

დახურული კონკურსი, რომელსაც საქართველოს კულტურის სამინისტროა და რესპუბლიკის კომპოზიტორთა კავშირი აწყობენ, მიზნად ისახავს ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლების რეპერტუარის გამდიდრებას, ამ კოლექტივებისათვის მაღალმხატვრული ნაწარმოებების შესაქმნელად კომპოზიტორთა ფართოდ მიზიდვას.

კონკურსზე წარმოდგენილი უნდა იყოს გამოუქვეყნებელი სიმღერების პარტიტურისა და კლავირის მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტი ორ ცალად.

კონკურსი ეწყობა ორ ტურად: პირველ ტურში შერჩეული ნაწარმოებები დაიშვებიან მეორე ტურში მონაწილეობისათვის, სადაც საჯაროდ შესრულდება ისინი. ამიტომ კომპოზიტორი — სიმღერის ავტორი მოვალეა იმუშაოს საქართველოს ფილარმონიის ამა თუ იმ კოლექტივთან.

გამარჯვებულთათვის დაწესებულია შემდეგი პრემიები: ერთი პირველი — 300 მანეთის ოდენობით, ორი მეორე — 200-200 მანეთის ოდენობით და სამი მესამე პრემია — 100-100 მანეთის ოდენობით. საკონკურსო მასალების წარმოდგენის უკანასკნელი ვადაა 1987 წლის 1 ოქტომბერი. ნაწარმოებები უნდა გამოიგზავნოს მისამართით: 380004, თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 19, საქართველოს კულტურის სამინისტრო. „საკონკურსოდ“. შემოქმედებითი ასპარეზობის შედეგები დეკემბერში გამოქვეყნდება.

(საქინფორმი).

სპორტი

პროფკავშირთა ვგრილში

პროფკავშირთა ახალი რესპუბლიკური ნებაყოფლობითი ფიზიკულტურულ-სპორტული საზოგადოების სტრუქტურა, მის წინაშე დასახული ამოცანები განხილა 6 მაისს თბილისში გამართულმა ამ საზოგადოების გაერთიანებულმა პლენუმმა. საქმე ეხებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის, სსრ კავშირის და საქართველოს სსრ პროფკავშირთა უკანასკნელი ყრილობების მოთხოვნათა მიხედვით ფიზიკულტურის კოლექტივებსა და სპორტულ კლუბებში მასობრივი ფიზიკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის გარდაქმნის საკითხი.

პლენუმზე მოხსენება გააკეთა საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა გ. ს. შუღაროვმა.

პლენუმზე ხაზგასმით, აღინიშნა, რომ პროფკავშირებს, რომლებიც მოწოდებული არიან ზრუნავდნენ ადამიანთა ჯანმრთელობისათვის, ახლა აქვთ დიდი შეუძლებლობანი, რათა გადაწყვიტონ ეს პასუხსაგები სოციალური და პოლიტიკური ამოცანა.

ამჟამად რესპუბლიკის პროფკავშირული ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებანი აერთიანებენ 4652 ფიზიკულტურულ კოლექტივს. მაგრამ აქედან 1300-ზე მეტს არა აქვს უმარტივესი სპორტული ბაზები და მოედნები, დაახლოებით ნახევარი კი იჯარითაც არ იღებს სპორტნაგებობებს.

შარშან სამრეწველო საწარმოთა ფიზიკულტურის კოლექტივებში 8მთ ნიშნისანი გაზდა მშრომელთა 17 პროცენტი. ეს საშუალო საკავშირო მაჩვენებლებზე მეტია. მაგრამ აქაც ადმოფხვრილი არ არის წამატებები და ფორმალიზმი, კვლავ არის სიყალბის ფაქტები.

ჯერ კიდევ საათანადო ყურადღება არ ეთმობა მწვრთნელთა და მასწავლებელთა კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას საზოგადოებათა სექციებსა და სპორტულ სკოლებში. მომუშავე მწვრთნელთა ნახევარს არა აქვს კატეგორიები, მეოთხედს — უმაღლესი ფიზიკულტურული განათლება. აქ ჯერ კიდევ მრავლად არიან შემთავსებლები, დაბალია სპეციალისტთა მომზადების დონე.

ყოველივე ეს, თქვეს პლენუმის მონაწილეებმა, ბევრად აიხსნება ფიზიკულტურული ორგანიზაციების მართვის არსებული სტრუქტურით. თვით ცხოვრება გვიკარნახებს, რომ საქმეს ხელს უშლის მათი დაქსაქსულობა და მათი უწყვებრიობა. უკანასკნელ დრომდე ჩვენში მოქმედებდა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების 7 რესპუბლიკური, 9 საოლქო, 30 საქალაქო, 89 რაიონული საბჭო. ეს წარმოშობდა პარალელიზმსა და დუბლირებას, უკონტროლობას, ხშირად კი არაჯანსაღ კონკურენციას, რომელიც კუთხურ ინტერესებთან არის დაკავშირებული.

საკავშირო პროფსაბჭომ მიმდინარე წლის თებერვალში მიიღო დადგენილება. „პროფკავშირთა ერთიანი ნებაყოფლობითი ფიზიკულტურულ-სპორტული საზოგადოების შექმნის შესახებ“ განაკარგებულ ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა ნაცვლად.

ანალოგიური საზოგადოება შეიქმნა ჩვენს რესპუბლიკაშიც. განიხილეს რა მისი ამოცანები, პლენუმის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ახლანდელი რეორგანიზაცია არსებულ სპორტულ საზოგადოებათა მექანიკური გაერთიანება კი არა, საქმის ორგანიზაციის ძირეული შეცვლაა.

აირჩიეს საქართველოს პროფკავშირთა ახალი რესპუბლიკური ნებაყოფლობითი ფიზიკულტურულ-სპორტული საზოგადოების საბჭოს პრეზიდიუმი. საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია ტ. ჯ. ჟღენტი.

განხილულ საკითხზე მიღებულია დადგენილება, რომელიც ითვალისწინებს მასობრივი ფიზიკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის გარდაქმნის კონკრეტულ ღონისძიებებს.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე გ. მ. სარაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ნ. ა. ფოფხაძე, პროფკავშირთა საკავშირო ნებაყოფლობითი ფიზიკულტურულ-სპორტული საზოგადოების თავმჯდომარე გ. ნ. როგატინი.

(საქინფორმი)

საერთო ძალებით

ფართოვდება საქართველოს დასავლეთ რაიონებზე თავდადებული სტიქიური უბედურების შედეგების ალაკვდაციო სამუშაოთა ფრონტი. ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ სწრაფად აღადგინონ ნაპირდამცავი ნაგებობები, გზები და სახალხო-სამეურნეო ობიექტები.

საქინფორმის კორესპონდენტმა სთხოვა რესპუბლიკის სახაგრომრეწვის რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანების „საქწყალეკსპლოატაციის“ უფროსის პირველ მოადგილეს შ. დობორჯგინიძეს ესაუბრა ადგილებზე შექმნილი მდგომარეობის, ამასწინანდელ უბედურებასთან დაკავშირებით წამოჭრილი პრობლემებისა და, ბოლოს, მიმდინარე სამუშაოების ხასიათის შესახებ.

— დასავლეთ საქართველოს მდინარეების ადიდებას, — თქვა მან, — წინ უძღოდა უხვი ნალექები მდინარეთა აუზებში, თოვლის ძლიერი საფარის შექმნა წყალშემკრებ ქედებზე, შემდეგ კი მკვეთრი დათბობა და წვიმები. ყველა ამ ფაქტორმა ერთად გამოიწვია სწორედ უეცარი წყალდიდობანი. მათმა დონემ მნიშვნელოვნად გადააჭარბა წყალდამცავ ნაგებობათა საპროექტო სიმაღლეს, ამის გამო დასავლეთ საქართველოში არსებული 360 კილომეტრი სიგრძის, მათ შორის კოლხეთის დაბლობის ზონაში 300 კილომეტრი სიგრძის ჯებირიდან დაინგრა დაახლოებით სამი კილომეტრი და დაზიანდა 30 კილომეტრამდე ჯებირი. იმ აღდგენილი სამუშაოების სავარაუდო ღირებულება, რომლებიც უნდა განახორციელოს მარტო ჩვენმა რესპუბლიკურმა საწარმოო გაერთიანებამ, ოთხ მილიონ მანეთს აღემატება. კოლხეთის დაბლობის დაზრობა-ათვისების მოკმნილ სქემაში ჯერ კიდევ არ არის გათვალისწინებული მდინარე რიონის ჩამონადენებისა და შენაკადების კაპიტალური რეგულირებისათვის გამიზნული სამუშაოები, აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის დასახლებული პუნქტებისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნაადაგად წყალდიდობის საწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელებისათვის ყოველწლიურად გამოიყოფა სულ ორი-სამი მილიონი მანეთის საოპერაციო ხარჯები, რაც, როგორც ბოლო მოვლენებმა ცხადყო, არ არის საკმარისი. ამავე დროს, დღეს ნათელი გახდა, რომ ორგანიზაციული თვალსაზრისით სრულყოფილი არ არის თვით წყალდიდობის საწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელების პრაქტიკაც: სამუშაოები და რესურსები განაწილებულია მრავალ უწყებს შორის და არ აქვთ საჭირო საკოორდინაციო ცენტრი, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მათს ეფექტიანობას.

— ცხადია, ამ გაკვეთილებიდან შესაბამისი დასკვნები უნდა გამოვიტანოთ...

— სტიქიურმა უბედურებამ ერთხელ კიდევ გამოავლინა -ყველა ის სუსტი ადგილი, რომლებიც ხელს უშლის წყალსამეურნეო ორგანიზაციების საეკსპლოატაციო სამსახურის ნორმალურ მუშაობას, უწინარეს ყოვლისა, ეს არის მიწასათხრელი ტექნიკის, ამწე-სატრანსპორტო საშუალებების, საავტომობილო ტრანსპორტის, საშენი მასალებისა და ფუღადი სახსრების ნაკლებობა.

ამჟამად დანგრეული მიწის ჯებირების აღდგენაზე ინტენსიური მუშაობაა გაჩაღებული.

სხვადასხვა რესპუბლიკური სამინისტრო და უწყება რეგულარულად გამოყოფს დამატებით საკირო საშენ მასალებს.

„მაკაპარწყალმშენის“ ტრესტის № 2 სამშენებლო სამმართველოს მექანიზატორები შეუდგნენ სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციასა და სამელიორაციო სისტემის აღდგენას. მათ უნდა ახი ათასი მანეთის სამუშაოები შეასრულონ.

სურათზე: გაჩაღებულია არხების აღდგენის სამუშაოები.

თ. ნაფიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ყულარელი „ამორძალი“

ამჟამინდელ მარნეულის რაიონში — ყულარის ცხენსაშენის დაარსებისას ამერიკიდან დიდი ფულის საფასურად გამოიწერეს მთავარ სპეციალისტად სახელმოხვეჭილი ჟოკეი ვიზკფელდი. ეს 1905 წელს მოხდა. მაგრამ არავის აზრადაც არ მოუვიდოდა, რომ ოთხმოცი წლის შემდეგ წმინდა სისხლის საელიტო ინგლისური ბედაურებისა გაშენებისათვის სასელექციო და საჯიშე მუშობას აქ სათავეში ჩაუდგებოდა... ქალაქშვილი.

წარმოგიდგენთ მას: მარინე რომანოვა, ქარხნის მთავარი ზოოტექნიკოსი, მოსკოვის ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის კურსდამთავრებული — ოციოდე წლის სანდომიანი ქალიშვილი.

— რატომ? — კითხულობს მარინე. — სხვადასხვა ჯიშის ცხენებიდან ყველაზე უფრო ინგლისური წმინდასისხლიანები მიყვარს. საბჭოთა კავშირში თითეზზე ჩამოსათვლელი ცხენსაშენები, სადაც მათ მოშენებას მისდევენ. ყულარში კი ჩემ ბედად მთავარი ზოოტექნიკოსის ადგილი განთავისუფლდა.

ბედად... თავდაპირველად ეს ამბავი ძნელად დასაჯერებელი გეჩვენება — მარინეს მთელი წინა ცხოვრება ჩვეულებრივად მიმდინარეობდა: მოსკოვში გაიზარდა, რომ იტყვიან, ასფალტზე, სამხედრო მოსამსახურისა და დიდი თეატრის მსახიობის ოჯახში, სწავლობდა სპეცსკოლაში, სადაც გერმანული ენას ეუფლებოდა.

ყულარის გზა მისთვის იპოდრომზე შემთხვევითი მოხვედრით დაიწყო. იქვე გაეცნო ცნობილ საბჭოთა ჟოკეის ნიკოლოზ ნასიბოვს.

მარინეს თავდავიწყებით შეუყვარდა ცხენები: მან ცხენოსნობაში ვარჯიში დაიწყო, მეცხენეობის დიდი ბიბლიოთეკა შეაგროვა. შობლებს დიდად არ აწუხებდათ ქალიშვილის გატაცება, მერე და მერე ქაუას მოეკიდებაო. მაგრამ არა.. როცა გოგონამ სკოლის დამთავრების შემდეგ სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში შესვლა გადაწყვიტა. იქ კი ცივი უარი სტკიცეს — ჩვენ, მარტო ვაჟებს ვიღებთ და იმათშიც სოფლელებს ვანიჭებთ უპირატესობასო.

ასეთ სიტუაციაში ბევრი უკან დაიხევდა, მაგრამ არა მარინე — მან მიატოვა მოსკოვი, გაემგზავრა კრასნოდარის მხარის ნოვოკუბანსკის რაიონში და დაითანხმა იქაური ცხენსაშენის „ვოსხოდის“ ხელმძღვანელობა სამუშაოდ მიღებაზე. ორი წლის შემდეგ კი მოსკოვში დაბრუნდა და კვლავ შეაღო აკადემიის მიმღები კომისიის კარი.

ყოველი ცხენსაშენის მუშაობის ავ-კარგის საწყაო გაყიდული ცხენების რიცხვი და ამაში მიღებული თანხაა. ახალი მთავარი ზოოტექნიკოსის მოსვლამდე ყულარი მაინცდამაინც ბრწყინვალე შედეგებს ვერ დაიკვეხნიდა. მაგრამ ამას წინათ საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრმა ალექსანდრე ნებოგოვმა თავისი კლუბისთვის სამი აქაური ბედაური შეიძინა — ცხენსაშენის სახელის აღორძინებას სათავე დაედო.

ა. კოჩეტოვი,
საქინფორმის კორ.

შეტაკება მოსახვევში

ღამის მოლიპულ გზაზე მკვეთრ მოსახვევში ბედმა ერთმანეთს შეაჯახა ექვსი ადამიანი. მათ სიცოცხლის რისკით დასძლიეს მამაცობის ვერტიკალი, სამი სხვა კი, რომლებმაც ხელყვეს მათი სიცოცხლე, უნამუსობის უფსკრულში გადაიჩეხა.

აი რა მოხდა თბილისის ზღვის გასწვრივ ტრასის მკვეთრ მოსახვევში: შუაღამე იქნებოდა, კოკისპირულად წვიმდა. აი სადაცაა გაიელვებენ ბენზინის გასაწყობი სადგურის ნათურები, იქ კი სახლამდე — მუხიანის საცხოვრებელ მასივამდე — ორიოდე ნაბიჯია დარჩა. ორი მეგობარი — მილიციის უმცროსი სერჟანტი მერაბ შუბითიძე და ზეინკალი — მძღოლი რევაზ პუტტოიანი ჩქარობდნენ: ტელევიზიით იწყებოდა პორტუგალიიდან ფეხბურთის მატჩის პირდაპირი ტრანსლაცია. მაგრამ იმ ღამეს მათ ვერ მოასწრეს თამაშის შედეგის გაგება...

მანქანას გზა გადაუღობა „ჟიგულმა“. პირველი, რაც მათ იფიქრეს, იყო: წვიმაში მოცურებულან, ხალს ეველა უნდა. მაგრამ, როდესაც მგზავრებს დააკვირდა, შუბითიძემ (მილიციაში მუშობის ცხრა წლის სტაჟი აქვს) ხმამაღლა დასძინა: „მანქანაში ნაძირალები არიან, ალბათ გიტაკეს“.

სთხოვა „ჟიგულის“ გზისპირზე გადაეყენებინათ, მაგრამ იქიდან გინება მოისმა. უმცროს სერჟანტს სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა — ამ დღეს იგი ისვენებდა. მაგრამ იგი ზუსტად წესდების მიხედვით მოქმედებდა, მანქანაში მყოფებს უთხრა ვინც იყო და სთხოვა დოკუმენტები წარმოედგინათ.

— მანქანიდან სამნი გადმოხტნენ და მერაბს ეკუთვნენ, — იხსენებს რ. პუტტოიანი. — მართალი გითხრათ, თავდაპირველად არაკი მიფიქრია, რომ ეს კუნთებდაბერილი ჯაბუკები გაბედავდნენ და წინააღმდეგობას გაუწევდნენ შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომელს. უცბად მერაბმა შეპყვირა: „რეზო, დამჭერეს!“.

პუტტოიანი უმალ მისახმარებლად გაეშურა და ორი ახალგაზრდა მიწაზე გაართხო. მან თავდაცვის ხერხები იცოდა, არ ეშინოდა მეტოქეს პირისპირ შებმოდა. მაგრამ ქურდულად ზურგში ლა დასცხეს. შემდეგ ექიმებმა დადასტურეს: დანა გულს ოდნავ ასცდაო.

მერე კი ყველაფერი ისე იყო, როგორც ბურანში. პუტტოიანი ძლივძლივობით ამაგრებდა ერთერთ ბოროტმოქმედს და დანარჩენებს ახლოს არ უშვებდა. მისი ერთადერთი იარაღი იმ დროს იყო ხელში მოხვედრილი მილიციელის კვერთხი, რომელიც, საბედნიეროდ, მერაბის მანქანაში აღმოჩნდა.

— უცბად ქალი გამოჩნდა, — განაგრძობს რევაზი. — მახსოვს, ვიღაც კაციც იყო, რომელიც ეხვეწებოდა ამ „ბნელ“ საქმეში ნუ ჩაერევიო. მაგრამ ამ უცნობი ქალის გულადობა რომ არა, ჩვენი საქმე ცუდად წავიდოდა: ან სისხლით დავიცლებოდით ან, უფრო ზუსტად, ბოლოს მოგვიღებდნენ. მოულოდნელმა დახმარებამ თითქოს ძალა შემატა მერაბს. როცა იგი მანქანის საჭესთან დავინახე, თვალს არ დავუჯერე — მე კი მეგონა მოკლეს-მეთქი. ერთ-ერთი ბოროტმოქმედი, რომელიც გაკავებული მყავდა, მანქანაში შეეკითხე და სწრაფად იქაურობას გავეცალეთ...

შუბითიძემ მილიციის უახლოეს განყოფილებამდე მიაღწია და იქვე გონება დაკარგა. მხოლოდ საავადმყოფოში გამოერკვა, რომ დანის ექვსი ჭრილობა ჰქონდა, ხოლო სისხლის წნევა კრიზისულ ზღვრამდე დაცემულიყო.

ვიპოვეთ ის ქალი, რომლის ჩარევამაც მათი პირადი აღიარებით, გადაარჩინა მეგობრები. ფატიმა ქოლოკაური — საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ არაადეკვატური ყურადღებიანი, ორი შვილის დედა.

მეგობრები დღეს უკვე გამოეწერნენ საავადმყოფოდან. გამოჯანმრთელების გზა ძალზე რთული აღმოჩნდა. 26 კომისრის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების ოცზე მეტმა თანამშრომელმა, სადაც მორიგის თანამშრომელმა, ადამიანებმა შუბითიძე, მისცა მეგობრებს სისხლი.

ზუსტად მოქმედებდნენ საქართველოს დედაქალაქის ლენინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების პირველი განყოფილების თანამშრომლები, სადაც დაჭრილმა უმცროსმა სერჟანტმა მიიყვანა მანქანა. მათ დაჭრილები უმალ საავადმყოფოში წაიყვანეს, გატაცებული „ჟიგულის“ პატრონიც იპოვეს, შემდეგ კი ის ორი ბოროტმოქმედიც დაეკავეს, რომლებიც მართლმსაჯულებას ემალებოდნენ. ჩვენ ამ უკანასკნელთა გვარებს არ ვასახელებთ. გამოძიება და სასამართლო დაადგენენ თითოეულის დანაშაულის სიმძიმეს. ისე კი ვიტყვით: ერთი მათგანი ეს-ეს არის სრულწლოვანი გახდა, დანარჩენები კი ჯერ ისევ არასრულწლოვანები არიან.

ჩვენს გმირებს კი წარმოგიდგენთ: 30 წლის რ. პუტტოიანი მუშაობს „საქვაჭრობამონტაჟის“ სამმართველოში. ორი ვაჟი ჰყავს, მის თანატოლ მ. შუბითიძეს — ერთი ვაჟი და ტყუპი გოგონები.

— მე და მერაბი დიდი ხანია ღვიძლი ძმებივით ვცხოვრობთ, თქვა რევაზმა. — ახლა კი დაც გვეყოლება — ფატიმა.

ბ. იარალოვი,
ი. გორელოვი,
საქინფორმის კორ.

ეძღვნება დიდ ოქტომბერს

70

დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი შესანიშნავი კონცერტით კვლავ გამოიჩინეს თავი ნეგისპარა ქალაქში აფხაზეთის მსახიობებმა.

მრავალეროვნული საბჭოთა ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენელთა შორის, რომლებიც მიწვეული იყვნენ საკავშირო საავტორო საზოგადოება „ინტურისტის“ ლენინგრადის განყოფილების კულტურულ პროგრამაში მონაწილეობისათვის, გამოდიოდა აფხაზეთის ხალხური ცეკვისა და სიმღერის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლიც, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი რეჟისორია აფხაზეთის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ივანე შამბა, მთავარი ბალეტმეისტერი, — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე და აფხაზეთის სსრ დამსახურებული არტისტი კანდიდ თარბა.

იმედია, ეოგენონიგზათ

ახლახან თბილისის საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლის „ეირიმზის“ სადემონსტრაციო დარბაზში გაერთიანება „თბილისინდუსტანსაცმლის“ ინიციატივით გაიმართა საგაზაფხულო მოდების ჩვენება-კონკურსი. აქ უჩვენეს გაერთიანება „თბილისინდუსტანსაცმლის“ მიერ შექმნილი ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლის მოდელები.

კონკურსმა დიდი ინტერესი გამოიწვია, მაყურებელს ბევრი მოდელი მოეწონა, მაგრამ მათ შორის მაინც გამოირჩა ნამუშევრები, რომელთაც ქვემოთ გთავაზობთ: — ებრეშუმის ქსოვილისაგან დამზადებული ქალის საზაფხულო და საგაზაფხულო კოსტიუმები (მსატვარი-მემოდელე ნ. მაურელი, შე-18 ჯგუფელი, დეშონსტრატორი — ვ. არჩვაძე).

ლ. იაკობაშვილის ფოტო.

მხნეობისა და ჯანმრთელობის ზეიმი

ბუშინ ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 42-ე წლისთავის საზეიმო დღე რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში მრავალფეროვანი და საინტერესო მასობრივი ფიზიკულტურულ-სპორტული ღონისძიებებით აღინიშნა. განსაკუთრებით დატვირთული იყო ჩვენი დედაქალაქის ფიზიკულტურულ-სპორტულ ღონისძიებათა პროგრამა: გაიმართა საქალაქო მასობრივი კროსი, რიყის ტერიტორიაზე მოეწყო საქალაქო შეჯიბრებები ლახტში, ქართულ ჭიდაობაში, სიმძიმეების აწევაში და ბაგირის გადაძალვაში, ხოლო თბილისის ცალკეულ რაიონებში მასობრივი მძლეოსანური კროსის სტარტზე გამოვიდნენ ასობით კროსმენები, გაიმართა შეჯიბრებები ფეხბურთში, ფრენბურთში, ჩოგბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკში, შაშში, ხელბურთში, კალათბურთში, მძლეოსნობაში, ჭიდაობაში, სპორტის ეროვნულ სახეობებში და ხალხურ თამაშებში. ერთი სიტყვით, დედაქალაქის ყოველ რაიონში, რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა, თუ რაიონულ ცენტრებში ათასობით სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა გამარჯვების დღისადმი მიძღვნილ სპორტულ ზეიმში.

ეს იყო მართლაც მხნეობისა და ჯანმრთელობის დიდი ზეიმი, რომელშიც მთელი რესპუბლიკის მოსახლეობის სხვადასხვა ასაკის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა, მათგან ბევრმა პირველად იგრძნო ის სიკეთე, რაც ფიზიკულტურასა და სპორტს მოაქვს ადამიანისათვის.

სატურნირო ორბიტა

ქალაქნობა. საფრანგეთის ქალაქ რეიმსში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე საბჭოთა ნაკრებს პირველი ოქროს მედალი შესძინა ცელინოგრადელმა ანატოლი ბრაპატემ (90 კგ-მდე წონითი კატეგორია). მან ორშიდში 415 კგ დააგროვა. 100 კგ-მდე წონითს კატეგორიაში ჩემპიონის წოდებას დაეუფლა უნგრელი ათლეტი შინდორ სანი — 422,5 კგ.

ფეხბურთი. მეორე ლიგის მეცხრე ზონის საკავშირო ჩემპიონატში მონაწილე საქართველოს გუნდებმა მორიგი, მეექვსე ტურის კალენდარული მატჩები ასეთი შედეგებით დაამთავრეს: „კროვაკანის „ლორი“-თბილისის „შევარდენი“ სპი — 1:0, რუსთავის „მეტალურგი“-გორის „დილა“ — 2:0, სოხუმის „დინამო“-ტყიბულის „მეშახტე“ — 4:0, ფოთის „კოლხეთი“-სამტრედიის „ლოკომოტივი“ — 0:2. დღისათვის შეჯიბრებას 10-10 ქულით ლიდერობენ სამტრედიის „ლოკომოტივი“ და კროვაბადის „ქიაფაზი“. სუმგაითის „ეოსხოდს“ და ფოთის „კოლხეთს“ 7-7 ქულა აქვთ, ლენინაკანის „ოლიმპიას“, სოხუმის „დინამოს“, გორის „დილას“ და ოქტემბერიანის „სპარტაკს“ — 6-6.

ჭადრაკი. მოსკოვში დაიწყო სსრ კავშირის სხვადასხვა თაობის მოჭადრაკეთა ორწრიანი მატჩ-ტურნირი. გთავაზობთ პირველ შედეგებს: **ვ